

ევროპული
ბაღი

2017
2018



სასწავლო პროგრამა 2018-2019



0. სპირიტუალის №2
0177, თბილისი, საქართველო



kindergarten@europeanschool.ge

სარჩევი

ჩვენი მისია	3
ჩვენი ღირებულებები	3
ჩვენ ვიღვწით, რათა:.....	3
ევროპული საბავშვო ბაღის აღსაზრდელები	4
სასწავლო გეგმის ჩარჩო	4
ჩვენი პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება ექვსი საგანი:.....	4
სასწავლო პროგრამა.....	5
პირადი მენეჯმენტი.....	5
როგორ მუშაობს ჩემი სხეული.....	5
როგორ მუშაობს სამყარო	5
ჩემი ადგილი სამყაროში	5
რა უნდა იცოდნენ და რისი გაკეთება უნდა შეეძლოთ ბავშვებს?	9
სტანდარტის სტრუქტურა	9
დამოკიდებულებები: რას უნდა გრძნობდნენ, აფასებდნენ და გამოხატავდნენ ბავშვები? 10	
მეტყველების განვითარება.....	10
სასაუბრო ენა	10
წერა-კითხვის უნარ-ჩვევები	10
საგნობრივი ჯგუფები.....	11
ენა.....	11
ენის უნარ-ჩვევები.....	11
რუსული ენა (როგორც მეორე ენა)	11
ინგლისური ენა (როგორც დამატებითი ენა).....	11
მათემატიკა	12
მათემატიკური უნარ-ჩვევები	12
ფიზიკური აღზრდა (PE).....	14
ხელოვნება	14
დამატებითი აქტივობები	15
ჭადრაკი.....	15
STEAM	16
შეფასება	16
პორტფოლიოები	17
შეხვედრები და ანგარიშები.....	17
მშობელთა საორიენტაციო შეხვედრები	17

ჩვენი მისია

„ევროპული სკოლა“ მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში; აძლევს საშუალებას მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები.

ჩვენი ღირებულებები

ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება, ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია „ევროპული სკოლის“ ყველა აკადემიურ თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ:

- ინოვაციის გზით სვლა
- სწრაფვა სრულყოფილებასკენ
- განვითარება სწავლის საშუალებით
- გლობალური მოქალაქეობა

ამ ძირეული ღირებულებებით ჩვენ წავახალისებთ დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, გაითავისონ პასუხისმგებლობა. „ევროპულ სკოლაში“ სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიღებითა და ტოლერანტობით. ეს მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

ჩვენ ვიღვწით, რათა:

- შევქმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი და ინოვაციური სწავლების გარემო;
- განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი მოსწავლეები ინტელექტუალურად, შემოქმედებითად, სოციალურად, ფიზიკურად და ეთიკურად ქართულ კულტურასთან ჰარმონიაში;
- ყურადღება გავამახვილოთ აკადემიურ სრულყოფილებასა და კეთილსინდისიერებაზე;
- ხელი შევუწყოთ მუდმივად ცოდნის მაძიებლების ჩამოყალიბებას.

ევროპული საბავშვო ბაღის აღსაზრდელები

- სწავლობენ ძიებით;
- მუშაობენ ინდივიდუალურად, წყვილებში და ჯგუფებში;
- მათ უსმენენ;
- არიან ცნობისმოყვარენი, სვამენ შეკითხვებს, იძიებენ და იკვლევენ გარემოს ფიზიკურად, სოციალურად და ინტელექტუალურად;
- იღებენ სათანადო მხარდაჭერას, რათა ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ მაძიებლებად;
- ცოდნას იძენენ მრავალფეროვანი გამოცდილებებით, განსხვავებული უნარ-ჩვევებისა და შესწავლის სტილის მიხედვით.

სასწავლო გეგმის ჩარჩო

ჩვენი სასწავლო პროგრამა ეფუძნება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების „ადრეული ასაკის სწავლების და განვითარების სტანდარტეგებს“.

სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ევროპული საბავშვო ბაღის სახელმძღვანელო სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის. აღნიშნულ სახელმძღვანელოში ინფორმაციასთან ერთად მოცემულია აქტივობები: „ვითამაშოთ“, „სურვილების დაფა“, „ექსპერიმენტი“, „გავაკეთოთ ერთად“, „ჯადოსნური ტომარა“, „კვლევა“, რომელსაც მასწავლებელი იყენებს. მიმდინარე თემის ფარგლებში. სახელმძღვანელო ეხმარება მასწავლებელს დაგეგმოს გაკვეთილი, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის ასაკისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას.

ჩვენი პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება ექვსი საგანი:

- სოციალური მეცნიერებები
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
- ხელოვნება
- ფიზიკური განათლება, პიროვნული განვითარება
- ენა
- მათემატიკა

სასწავლო პროგრამა

ჩვენი სასწავლო პროგრამა შედგება ოთხი ტრანსდისციპლინარული თემისაგან. აღნიშნულ თემები ხელს უწყობს ცოდნის და უნარების შექმნას საგნობრივი სწავლების ჩარჩოებს მიღმა.

- **პირადი მენეჯმენტი**
- **როგორ მუშაობს ჩემი სხეული**
- **როგორ მუშაობს სამყარო**
- **ჩემი ადგილი სამყაროში**

პირადი მენეჯმენტი

თემის მიზანია დაეხმაროს ბავშვს ისწავლოს: წესებით ორგანიზებულ ჯგუფში ცხოვრება, ქცევის და ემოციების მართვა, საკუთარი თავის ორგანიზება, მიზნების დასახვა და მუშაობა, საკუთარი თავის და სხვების პატივიცემა, დამოუკიდებლობა, თანამშრომლობა, კომუნიკაციის დამყარება, პრობლემების მოგვარება, საკუთარ სხეულზე ზრუნვა, თვითმომსახურება, ინსტრუქციების მოსმენა და დამოუკიდებლად შესრულება.

როგორ მუშაობს ჩემი სხეული

ჩვენ გვინდა ვასწავლოთ ბავშვებს, რომ ყველა ჩვენგანი ინდივიდუალურია, მაგრამ ამავე დროს გვაქვს ბევრი საერთო. თემის მიზანია უსაფრთხო ქცევისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა, განსხვავებულობის აღიარება და პატივისცემა, ყურადღების გამახვილება არა შეზღუდვასა და სისუსტეებზე, არამედ ძლიერ მხარეებზე;

როგორ მუშაობს სამყარო

ბავშვები ეცნობიან დღეების და თვეების ცვლას, სეზონებს, ცოცხალი ორგანიზმების ცხოვრების ციკლს და სწავლობენ ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვებას და ბუნებაზე ზრუნვას.

ჩემი ადგილი სამყაროში

სახლიდან - გალაქტიკამდე... ბავშვები სწავლობენ სივრცეში ორიენტირებას, ადგილმდებარეობის განსაზღვრას, მარშრუტის აღწერას. ეცნობიან ქვეყნებს, კონტინენტებს, ადამიანების ტრადიციებს და კულტურას, ისტორიას და განსხვავებას აწყმეოსა და წარსულს შორის, მზის სისტემის პლანეტებს, ადამიანის ტექნოლოგიურ მიღწევებს. ჩვენი მიზანია წავახალისოთ ბავშვის ცნობისმოყვარეობა, შემეცნების სიყვარული და ახალი მიგნებებისა და აღმოჩენების გაკეთების სურვილი.

	ასაკობრივი ჯგუფი: 3-4	ასაკობრივი ჯგუფი: 4-5	ასაკობრივი ჯგუფი: 5-6
	გავიცნოთ ერთმანეთი		
პირადი მენეჯმენტი (ოქტომბრი ს ბოლომდე)	1. ჩემი გარეგნობა 2. ჩემი დაბადების დღე	1. ვინ ვარ მე 2. ჩემი გარეგნობა 3. ჩემი დაბადების დღე	1. ვინ ვარ მე 2. ჩემი გარეგნობა 3. ჩემი დაბადების დღე
	ჩემი ბავი		
	1. ბავის წესები	1. რისთვის გვჭირდება წესები 2. რა მეხმარება სწავლაში? 3. ჩემი ცხრილი	1. რისთვის გვჭირდება წესები 2. რა მეხმარება სწავლაში? 3. ჩემი ცხრილი
	როგორ გამოვხატავ საკუთარ თავს		
	1. ემოციები	1. ემოციები 2. შესტების ენა 3. ჯადოსნური სიტყვები	1. ემოციები 2. შესტების ენა 3. ჯადოსნური სიტყვები
	როგორ ვზრუნავ ჩემს თავზე		
	1. ჯანსაღი კვება 2. ხელების ჰიგიენა	1. თავის დამოუკიდებლად მოვლა 2. ჰიგიენა 3. ჯანსაღი კვება	1. თავის დამოუკიდებლად მოვლა 2. ჰიგიენა 3. ჯანსაღი კვება
	ვინ მეხმარება		
	1. ჩემი ოჯახი 2. უსაფრთხოება ბაღში და სახლში	1. ჩემი ოჯახი 2. მეგობრები 3. პროფესიები 4. უსაფრთხოება ბაღში და სახლში	1. ჩემი ოჯახი 2. მეგობრები 3. პროფესიები 4. უსაფრთხოება ბაღში და სახლში
	დროის ორიგანიზება		
1. კვირის დღეები 2. საათი	1. დღის რეჟიმი 2. კალენდარი 3. კვირის დღეები 4. საათი	1. დღის რეჟიმი 2. კალენდარი 3. კვირის დღეები 4. საათი	

ჩვენი მსგავსება-განსხვავებები			
როგორ მუშაობს ჩემი სხეული (მარტის ბოლომდე)	1. ჩემი სახე და სხეულის ნაწილები	1. ჩემი სხეული	1. ჩემი სხეული და გარეგნობა
	გრძნობის ორგანოები		
	სხეულის შემაღენლობა		
	1.კუნთები	3. კუნთები	1. რა არის ჩონჩხი 2. ხერხემალი 3. კუნთები
	სხეულის ძირითადი ორგანოები		
	1. შიდა ორგანოები	1. გული 2. ფილტვები 3. ტვინი 4. მომწებებელი სისტემა	1. ტვინი 2. სასუნთქი სისტემა 3. გული და სისხლის ცირკულაცია 4. მომწებებელი სისტემა
ცვლილებები ბუნებაში			
როგორ მუშაობს სამყარო (იანვრის ბოლომდე)	1. სეზონები 2. ცისარტყელა 3. ამინდი	1. ცისარტყელა 2. სეზონები 3. ამინდი	1. ბუნებრივი მოვლენები 2. სეზონები: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი 3. წყლის წრებრუნვა
	ადამიანები და ბუნება		
	1. მცენარეები 2. ცხოველები (წიწილის ცხოვრების ციკლი) 3. მწერები	1. მცენარეები 2. ტყეები 3. შინაური ცხოველები 4.გარეული ცხოველები 5.პატარა ცხოველები 6.მწერები	1. ცხოველთა სამყარო: ძუძუმწოვრები ჩიტები შინაური ცხოველები გველები ამფიბიები თევზები მწერები 2. მცენარეები რას მამღლევს ბუნებას დავეხმაროთ დედამიწას
ჩემი სახლი			

ჩემი ადგილი სამყაროში (მაისის ბოლომდე)	1. სად ვცხოვრობ 2. ქალაქი 3. სოფელი (ცხოველები)	1. სახლები 2. ქალაქი	1. სახლები 2. ქალაქი (საქალაქო ტრანსპორტი)
	მოგზაურობა მსოფლიოში		
	1. სატრანსპორტო წესები 2. საგზაო ნიშნები 3. ტრანსპორტი	1. სატრანსპორტო წესები 2. საგზაო ნიშნები 3. ტრანსპორტი 4. დედამიწა 5. 5 კონტინენტი 6. ოკეანეები	1. როგორ მოგზაურობდა ხალხი წარსულში და როგორ მოგზაურობენ ახლა 2. 5 კონტინენტი 3. ოკეანეები
	ევროპა და აზია		
		1. საქართველოს დედაქალაქი 2. საქართველოს კუთხეები 3. ეროვნული ჰიმნი და სიმბოლიკა 4. ევროპისა და აზიის ზოგიერთი ქვეყანა	1. ევროპისა და აზიის ქვეყნები 2. ტრადიციები 3. კულტურა 4. საჭმელი
	აფრიკა		
		1. მოგზაურობა აფრიკის კონტინენტზე	1. აფრიკის კონტინენტი 2. ტრადიციები 3. კულტურა 4. საჭმელი
	ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა		
		1. მოგზაურობა ამერიკაში	1. ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტები 2. ქვეყნები, ქალაქები 3. ტრადიციები 4. კულტურა 5. საკვები
		ავსტრალია	

		1. ავსტრალიის კონტინენტი	1. ავსტრალიის კონტინენტი 2. ავსტრალიის დედაქალაქი 3. ტრადიციები 4. კულტურა 5. საჭმელი
	ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსი		
		1. თეთრი კონტინენტები	1. არქტიკა 2. ანტარქტიკა 3. ცხოველები
	კოსმოსი		
	1. მზე, მთვარე და ვარსკვლავები	1. ჩვენი გალაქტიკა, მზის სისტემა და პლანეტები	1. კოსმოსი 2. ადამიანი და კოსმოსი

რა უნდა იცოდნენ და რისი გაკეთება უნდა შეეძლოთ ბავშვებს?

დაწყებით საფეხურზე ბავშვები იძენენ და იყენებენ უნარ-ჩვევებს და ცოდნას, რომლებიც ღირებულია არა მხოლოდ სწავლა-სწავლების პროცესში, არამედ სკოლის მიღმაც. ბავშვის განვითარება პირობითად ხუთ სფეროდ არის დაყოფილი. ყოველი სფერო კი ქვესფეროებს მოიცავს:

სტანდარტის სტრუქტურა

ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება

- მოტორული განვითარება
- ფიზიკური განვითარება
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა

- ესთეტიკა და კულტურა
- ბუნება და ტექნოლოგია
- რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარება
- მოვლენებს შორის მიმართებების წვდომა

სწავლისადმი მიდგომა

სასწავლო უნარები მოიცავს: ყურადღების კონცენტრაციას, შემოქმედებითობასა და გამომგონებლობას,

პრობლემის გადაჭრას, აზრის გამოხატვასა და რეალობასთან კავშირს, გააზრებას და ინტერპრეტაციას, კრიტიკულ აზროვნებასა და კვლევას.

მეტყველების განვითარება

- კითხვის მიმართულება
- წერის მიმართულება

სოციალურ-ემოციური განვითარება

- თვითიდენტობა ("მე"-კონცეფცია)
- თვითშეფასება
- თვითმართვა
- თვითგამოხატვა
- ურთიერთობა ადაპტაციური სოციალური ქცევა

დამოკიდებულებები: რას უნდა გრძნობდნენ, აფასებდნენ და გამოხატავდნენ ბავშვები?

ევროპულ საბავშვო ბაღში ვცდილობთ ხელი შევუწყოთ ისეთი განწყობებისა და დამოკიდებულებების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ინდივიდუალურ და ჯგუფურ სიჯანსაღეს. ბავშვები ივითარებენ პირად განწყობებს ადამიანების, გარემოს და სწავლის პროცესის მიმართ. საბავშვო ბაღში ვცდილობთ, წავახალისოთ შემდეგი ღირებულებები: დაფასება, გულმოდგინება, თავდაჯერება, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, ცნობისმოყვარეობა, ურთიერთგაგება, ენთუზიაზმი, დამოუკიდებლობა, კეთილსინდისიერება, პატივისცემა და ტოლერანტობა.

მეტყველების განვითარება

სასაუბრო ენა

მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ ნათლად და გადმოსცენ იდეები სტანდარტული ინგლისურის გამოყენებით. მათ უნდა შეეძლოთ იდეების არგუმენტაციით გამყარება, შეკითხვების დასმა, ლექსიკისა და ცოდნის გამდიდრება, მსჯელობა, სხვების იდეების შეფასება და ამ იდეების განვითარება, ეფექტური კომუნიკაციისთვის საჭირო რეგისტრის პოვნა და ა.შ. ბავშვებმა უნდა შეძლონ იდეების სტრუქტურულად გამართული აღწერა და ახსნა-განმარტება.

წერა-კითხვის უნარ-ჩვევები

მასწავლებლები ბავშვებს უვითარებენ კითხვისა და წერის უნარ-ჩვევებს.

წერის შესწავლისას ბავშვები სწავლობენ ხაზების გავლებას, ასოების ფორმების მოხაზულობას, საკუთარი სახელების დაწერას, ანბანის ასოებს და სიტყვებს.

საგნობრივი ჯგუფები

ენა

სწავლაში, აზროვნების განვითარებასა და კომუნიკაციაში ენას ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება. სწავლა-სწავლება ეყრდნობა ორგანიზებულობის, სტრუქტურულობისა და მიზნობრიობის პრინციპებს, სხვადასხვა სასწავლო სტრატეგიასა და სტილს.

ბავშვები ენას შეისწავლიან ლაპარაკისა და მოსმენისას: მაშინ, როდესაც გამოხატავენ თავიანთ იდეებს, ან სხვებს უსმენენ. იმისათვის, რომ ბავშვებმა ენთუზიაზმით განაგრძონ სწავლა, მასწავლებლები ქმნიან კომფორტულსა და წამახალისებელ გარემოს.

ჩვენი მიზანია, ბავშვებმა გამოხატონ საკუთარი თავი თავისუფლად, თავდაჯერებულად და ზუსტად ზეპირი კომუნიკაციისას.

ენის უნარ-ჩვევები

- ზეპირი კომუნიკაცია: მოსმენა და საუბარი
- ვიზუალური კომუნიკაცია: აღქმა და წარმოდგენა

ინგლისური ენა ევროპულ საბავშვო ბაღში (ინგლისურ სექტორზე) წარმოადგენს ინსტრუქციის ძირითად ენას.

რუსული ენა (როგორც მეორე ენა)

ბავშვები რუსულის წრეში მონაწილეობენ კვირაში ორჯერ. რუსული 3-6 ასაკობრივ ჯგუფში მეორე ენაა. რუსული ენის სწავლების მიზანია, ბავშვებმა შეიძინონ ძირითადი კომუნიკაციისთვის საჭირო ცოდნა რუსულ ენაზე.

ინგლისური ენა (როგორც დამატებითი ენა)

ვინაიდან ევროპული საბავშვო ბაღი წარმოადგენს საერთაშორისო სივრცეს, ბავშვებს ქართულენოვან სექტორში ვთავაზობთ ინგლისურს, როგორც დამატებით ენას, რათა მათ გაუადვილდეთ კომუნიკაცია. ინგლისურის 30-წუთიანი გაკვეთილები კვირაში სამჯერ ტარდება - გაკვეთილები ბავშვებს უმდიდრებს ტერმინოლოგიას და აძლევს საშუალებას, ჩაერთონ ინგლისურენოვან დიალოგებში.

ენის შესწავლის პროცესში ბავშვმა, შესაძლოა, გაიაროს ე.წ. „ჩუმი ფაზა.“ აღნიშნულ ფაზას გაგებითა და პატივისცემით ვეკიდებით. ხოლო როცა ბავშვები ინგლისურად იწყებენ საუბარს, მაქსიმალურად ვცდილობთ, წავახალისოთ მათი გამბედაობა. ინგლისურის შესწავლისას, ცხადია, ბავშვები დაუშვებენ შეცდომებს. თუმცა, ფაქტია, რომ შეცდომები შესწავლის პროცესის და ენობრივი უნარ-ჩვევების შექმნის განუყოფელი ნაწილია.

მათემატიკა

ვცდილობთ, წავახალისოთ ბავშვები, რომ მათემატიკა ცხოვრების შემადგენელ ნაწილად აღიქვან და ვებმარებით მათ, მათემატიკა აღმოაჩინონ ყოველდღიურობაში, მათ შორის თამაშის დროსაც.



მათემატიკური უნარ-ჩვევები

3-დან 5 წლამდე	
რიცხვები და ანგარიში	
ბავშვი ავლენს ციფრების ცოდნას და შეუძლია დათვლა	<ul style="list-style-type: none"> • ასახელებს ციფრებს 10-მდე. იყენებს რიცხვებს და თვლას ყოველდღიურ ცხოვრებაში • შეუძლია სხვადასხვა საგნის შედარება • იცის, რომ რიცხვი აღნიშნავს რაოდენობას • განასხვავებს ასოებს ციფრებისაგან.
გაზომვა	
ბავშვი აღიქვამს და გამოთქვამს მოსაზრებას საგანთა ზომაზე, მოცულობაზე, სიმაღლეზე, სიგრძესა და წონაზე	<ul style="list-style-type: none"> • შესაბამისად იყენებს ზომის აღმნიშვნელ სიტყვებს • აღარებს სხვადასხვა საგნის ზომებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება • საგანთა მიწოდებული წყვილიდან ახდენს დიდი ან პატარა, მძიმე ან მსუბუქი, გრძელი ან მოკლე საგნების დასახელებას და აფასებს ზომას • შეუძლია მიუსადაგოს საგნები ერთმანეთს

კანონზომიერების დადგენა	
<p>ბავშვი აჯგუფებს საგნებს ზომის, ფორმის ფერისა და დანიშნულების მიხედვით</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ობიექტი მიაკუთვნოს რომელიმე კატეგორიას • შეუძლია პირამიდის აწყობა (საუბარია სხვადასხვა ზომის ერთნაირ ფიგურებზე, რომელთა თანმიმდევრული დაწყობით იგება პირამიდა). • შეუძლია ნიმუშით სარგებლობა, წრის ან ოთხკუთხედის გადახატვა; • ასახელებს და ცნობს წრეს, ოთხკუთხედს, სამკუთხედს. • აკვირდება კუბურას, ბურთს და ხვდება, რომ ერთი უფრო ადვილად გორავს, ვიდრე მეორე. • გამოარჩევს არაგეომეტრიულ ფორმებს ბუნებაში (მაგ. ღრუბელი არ ჰგავს არც სამკუთხედს, არც კვადრატს და ა.შ.)
5-დან 6 წლამდე	
რიცხვები და ანგარიში	
<p>ბავშვი ავლენს ციფრების ცოდნას და შეუძლია დათვლა</p>	<ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებლად ითვლის 21-მდე. • შეუძლია რიცხვის გამოყენება რიგითობის აღსანიშნავად. • ესმის, რომ დათვლის დროს ბოლო რიცხვი წარმოადგენს საგნების მთელ რაოდენობას. • ასრულებს მათემატიკურ გარდაქმნებს (მიმატება-გამოკლებას 10-ის ფარგლებში). • შეუძლია გამოთქვას ვარაუდი რაოდენობასთან დაკავშირებით.
გაზომვა	
<p>ბავშვი აღიქვამს და აფასებს ზომას, მოცულობას, სიმაღლეს, სიგრძესა და წონას</p>	<ul style="list-style-type: none"> • მზარეულობის დროს შეუძლია აწონოს. • ინგრედიენტები უფროსის დახმარებით. • ესმის, რომ რაოდენობა რჩება იგივე, მიუხედავად ობიექტის ფორმის ცვლილებისა. • შეუძლია საგანთა რაოდენობრივი შედარება. პრაქტიკულ მაგალითზე დაყრდნობით. • განსაზღვრავს, რამდენი ნაბიჯია საჭირო ოთახის გასავლელად.

კანონზომიერების დადგენა	
<p>ბავშვი აჯგუფებს საგნებს ზომის, ფორმისა და დანიშნულების მიხედვით</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია საგნების დაჯგუფება ერთი თვალსაჩინო ნიშნით • შეუძლია გაიმეოროს და განავრცოს გარკვეული წესით მოცემული თანმიმდევრობა • ალაგებს ფორმებს პატარიდან დიდამდე და პირიქით, დიდიდან პატარამდე • ასახელებს მარტივ გეომეტრიულ ფიგურებს და იცის მათი ელემენტარული მახასიათებლები • შეუძლია დახატოს კვადრატი, სამკუთხედი. • შეუძლია იპოვოს სურათზე მითითებული ფორმა. • შეუძლია დანაწევრებული ფორმის ნაწილებით რაიმე ფიგურის შექმნა.

ფიზიკური აღზრდა (PE)

ფიზიკური აღზრდა ბავშვებს სხეულისა და ფიზიკური მოძრაობის „ენას“ ასწავლის - ბავშვები იძენენ ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, სწავლობენ, რისი გაკეთება შეუძლიათ და რისი - არა, აცნობიერებენ საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს ფიზიკური შესაძლებლობების თვალსაზრისით.

ფიზიკური აქტივობა დაბალანსებული, ჯანსაღი ცხოვრების საწინდარია. ფიზიკური აღზრდა ბავშვებს თავდაჯერების ამაღლებაში, თანამშრომლობის უნარ-ჩვევების განვითარებასა და ჯანმრთელობის შენარჩუნებაში ეხმარება.

ჩვენი მიზანია, ბავშვები იცნობდნენ საკუთარ ფიზიკურ შესაძლებლობებს და, ამავდროულად, განვიითარონ ინტერესი სპორტისა და ფიზიკური აქტივობის მიმართ.

პროგრამა ითვალისწინებს ფეხბურთს, რიტმიკას და კარატეს.

ხელოვნება

ხელოვნება კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც ბავშვები საკუთარი თავისა და გარემოს შესაცნობად მიმართავენ. ხელოვნების საშუალებით ბავშვები თავისებურ ინტერპრეტაციას უძებნიან ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ პერსპექტივებს.

ევროპულ საბავშვო ბაღში ბავშვებს ვახალისებთ, იპოვონ გამოხატვის განსხვავებული გზები. ცოდნის შექმნა მხოლოდ ენის საშუალებით როდი ხდება - ხელოვნება თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის მედიუმია და ბავშვების განვითარების პროცესში დიდ როლს თამაშობს. იგი ბავშვებს ეხმარება, გახდნენ უფრო შემოქმედებითი,



განივითარონ კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი, შეიძინონ სოციალური უნარ-ჩვევები, დახვეწონ წარმოსახვა, ჩამოიყალიბონ გემოვნება და სტილი.

ევროპულ საბავშვო ბაღში ბავშვებს აქვთ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ ბალეტში, თეატრალურ დადგმებში, ისწავლონ მუსიკა და ხატვა. მუსიკის გაკვეთილებზე აღსაზრდელები ეცნობიან ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკას, რათა გაიღრმავონ ემოციური სამყარო, დახვეწონ სმენა, რითმი და გემოვნება. ცეკვის გაკვეთილებზე



ბავშვები ხვეწენ კიდურების კოორდინაციას, სწავლობენ ძირითად საცეკვაო მოძრაობებს და მარტივ ქორეოგრაფიას, ხდებიან უფრო მოქნილები და ამავედროულად, ივარჯიშებენ მახსოვრობასაც.



დამატებითი აქტივობები ჭადრაკი

კონცენტრაცია, კრიტიკული აზროვნება, მსჯელობა, პრობლემების გადაჭრა, კანონზომიერების ამოცნობა, სტრატეგიული დაგეგმვა, შემოქმედებითობა,

ანალიზი, სინთეზი, შეფასება - ესაა ის უნარ-ჩვევები, რომლებსაც ევროპული საბავშვო ბაღის ჭადრაკის წრე ავითარებს.

STEAM

საბავშვო ბაღში დაგეგმილი და განხორციელებული STEAM აქტივობები: ხელნაკეთი მანქანების შექმნა, რომლებიც მექანიკური და აერო დინამიკის ელემენტების გამოყენებით მოძრაობენ; აღნიშნული აქტივობა აღსაზრდელებს უვითარებს კრეატიულობას და პრობლემების გადაჭრის უნარებს. ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარება მრავალფეროვანი ვიზუალური მასალის ჩვენებით; პატარები ეცნობიან და სწავლობენ ტექნიკასთან მუშაობის წესებს: როგორ უნდა დასხდნენ კომპიუტერთან, როგორ მოუარონ ტექნიკას, როგორ იმუშაონ უსაფრთხოდ; ქმნიან პოსტერებს ნახატებისგან და აწყობენ გამოფენებს.

ლეგოს გამოყენება სხვადასხვა ობიექტების შესაქმნელად; ლეგოს კუბიკების დახმარებით პატარები მარტივად აწყობენ სხვადასხვა ობიექტებს: ფიგურებს, კონსტრუქციებს, რობოტებს; შემდეგ კი წარადგენენ თანატოლებთან; ქმნიან ჩანახატებს, „აცოცხლებენ“ ნახატებს და ახმოვანებენ პერსონაჟებს. მეორადი ნივთებისგან ბაღის მოსწავლეები ქმნიან და აწყობენ სხვადასხვა შინაარსის პროდუქტებს, რომელთა შემდგომი გამოყენება შესაძლებელია. კოდირების ელემენტების სწავლება: პატარები ახდენენ რობოტების დაპროგრამებას; აღწერენ მათ მოძრაობებს, ალგორითმს; სამუშაო დაფაზე მათ მიერ დაწერილი პროგრამით რობოტმა სხვადასხვა წინაღობა უნდა გადალახოს და მრავალფეროვანი დავალება შეასრულოს. ალგორითმიზაციის აქტივობები პატარებს ეხმარება კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში. ინტერაქტიული მაგიდების და ინტერაქტიული დაფის გამოყენებით პატარები ეჩვევიან სხვადასხვა პროგრამასთან მუშაობას, საგანმანათლებლო თამაშების გამოყენებით კი სწავლობენ კომუნიკაციას და თანმშრომლობას, უვითარდებათ ჯგუფური მუშაობის უნარები.

შეფასება

შეფასების მიზანია:

- გამოიკვეთოს ბავშვისა და მისი ინტერესების სრული სურათი;
- იდენტიფიცირდეს, თუ რას/როგორ ფიქრობს და სწავლობს ბავშვი;
- შეაფასოს, რამდენად ეფექტურია გარემო სასწავლო პროცესისთვის;
- გააღრმავოს სწავლება.

ბავშვებს:

- აქვთ განსხვავებული შესწავლის სტილი;
- აქვთ განსხვავებულ კულტურული გამოცდილებები, მოლოდინი და საჭიროებები;

- კონტექსტზე დაყრდნობით, სხვადასხვანირად ახერხებენ შესაძლებლობების გამოვლენას;
- სჭირდებათ საკუთარი პროგრესისა და გასაუმჯობესებელი არეალების სწორად იდენტიფიცირება;
- სჭირდებათ პოზიტიური უკუკავშირი.

სწავლა-სწავლება და შეფასება ფუნდამენტურად არის ურთიერთდამოკიდებული. ჩვენი მთავარი მიზანია, წავახალისოთ პატარა აღსაზრდელები მოტივაციის და საკუთარ თავში რწმენის გაზრდის მიზნით.

პორტფოლიოები

პორტფოლიო წარმოადგენს ბავშვებისა და მასწავლებლების მიერ შერჩეული ნამუშევრების ერთობლიობას და აჩვენებს ბავშვების წარმატებას, პროგრესს, აზროვნებას, შემოქმედებითობას, შეფასების სტრატეგიებსა და რეფლექსიას. პორტფოლიო ასახავს თითოეული ბავშვის გონებრივ შრომას და მის პროგრესს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. პორტფოლიო ბავშვებს საშუალებას აძლევს, გააკეთონ რეფლექსია მასწავლებლებთან, მშობლებთან და თანატოლებთან ერთად, აღმოაჩინონ საკუთარი ძლიერი, სუსტი და გასაუმჯობესებელი მხარეები.

შეხვედრები და ანგარიშები

მშობლები, მასწავლებლები და ბავშვები სწავლის პროცესში თანამშრომლობენ. პროგრესის აღრიცხვა სხვადასხვაგვარად ხდება: მშობლებისა და მასწავლებლების შეხვედრები, სემესტრული ანგარიშები და ა.შ.

წერილობითი ანგარიშები მზადდება წელიწადში ორჯერ. ანგარიშები მშობლებს აწვდის ინფორმაციას ბავშვების მიერ მიღწეულ პროგრესზე თითოეულ საგანში. თუ მშობლებს გააჩნიათ დამატებითი შეკითხვები და მოსაზრებები ბავშვის ანგარიშთან დაკავშირებით, მათ შეუძლიათ, გაესაუბრონ შესაბამისი საგნის მასწავლებელს. გარდა ამისა, მშობლებს აქვთ საშუალება, ყოველდღიურად ნახონ მასწავლებელი და გაარკვიონ, ხომ არ აქვს ბავშვს რაიმე სირთულე სწავლის ან ყოფა-ქცევის თვალსაზრისით.

მშობელთა საორიენტაციო შეხვედრები

საბავშვო ბაღის მენეჯერი და მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის (PTA) კოორდინატორი ორგანიზებას უწევენ შეხვედრას, რომლის დროსაც მშობლებს განუმარტავენ სასწავლო გეგმას და პასუხობენ მათთვის საინტერესო შეკითხვებს.

მშობელთა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება ხდება სასწავლო წლის განმავლობაში.